ოთხშაბათი, 3 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 215

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს დაკარგულად რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ნატალია მიხეილის ასული, ნინო და კოწია ტარიელოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის ძვირფას მეუღლის, მეორის და მესამის საყვარელ მამის ტრაგიკულად გარდაცვალებულის

**გრიგოლ მიხეილის ძის ტარიელოვის**

სულის მოსახსენებლად 4-ს ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—336—1)

2 ღვინობისთვეს დილის 7 საათ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**დეკანოზი ნიკოლოოზ არდაზიანი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი: **ნინო პეტრეს ასული**, შვილები: **ალექსანდრე, გიორგი, ზაქარია, ნატალია, ანნა, სოფიო** და ძმა განსვენებულისა **ხარლამპი პეტრეს ძე**. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე პირველ საათზედ და საღამოს 7 საათ. გასვენება შაბათს, 6 ღვინობისთვეს, დილის 9 საათ. საკუთარ სახლიდან (1-ლი საპიორის. ტუპიკი, № 4) წმ. სამების ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ დაკრძალული იქნება. (3—1)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი
**ი. მაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25. (0—190)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისის და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—1)

ექიმი
**ივ. გომართელი**
შინაგან საქირურგიო სნეულებ. ნი. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახლი თამამშევისა. № 33. (25—526—17)

კბილის ექიმი
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის საავადმყოფოს გვერდით. (25—ბ.—12)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 1½—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველდღე. 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ასპიროვი**—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**ითსელიანისა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ბოგოვსკი**—შინ. ყოველდღე 11½—1 ს.
**გორალევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, 11½—1½
**ინაევი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.
**შუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშტროევა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**გორობცოვისა**—მასსაჟი. ყოვ. დღე 12—4 ს.
**პივარსკი** — | კლინიკური ანალიზი.
**შუდნოვსკი** — |
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—39)

**მოითხოვეთ საუკეთესო**
## წისქვილის ქვები
ამხ. **„გუთნის“**-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—15)

ქუთაისში
კბილის ექიმი
**ი. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—23)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
## ა. ნ. დიასამიძე
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ტფ.** სასტუმროების, რესტორან-ბუფეტების, სასადილოებისა, ტრაქტირებისა, სამიკიტნოებისა, ღვინის სავაჭროებისა, საკანდიტეროებისა, სარძევეებისა და ყოველ გვარ საჭმელ-სასმელების სავაჭროების პატრონთა **ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, სამს ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზედ, დანიშნულია
**წლიური საგანგებო კრება.**
კრებამ უნდა განიხილოს:
წლიური ანგარიში, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, აირჩიოს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია; აგრეთვე უნდა განიხილოს სხვა და სხვა საქმეები.
გამგეობა აცხადებს: ის წევრები საზოგადოებისა, რომელთაც არ შეუტანიათ სამი თვის თვიური ფული და არ შემოიტანენ საზოგადო კრებამდის ესე იგი 3 ოქტომბრამდის, წესდების ძალით, გამორიცხულ იქნებიან და ნება არ ექნებათ დაესწრნენ საზოგადო კრებას. საერთო კრება მოხდება ქალაქის გამგეობის შენობაში. შესასვლელი ველიამინოვის ქუჩიდან. (3—335—3)

## ქუთაისში
**ნაჭრობით ვაჭრობის განყოფილება**
## სავაჭრო სახლი
ს. მ. კირაკოზოვისა, ბ. გ. ოვანოვის და ამხ.-სა, ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, სახლი თ-დ თუმანიშვილისა, ბულვარის პირდაპირ.
აუწყებს ქ. ქუთაისისა და მის მიდამოების პატივცემულ საზოგადოებას, რომ მომავალ სეზონისათვის მივიღეთ აუარებელი საამდროვო სამანუფაქტურო საქონელი:
1) მთლიანი მოქარგული და ნაქსოვიანი ტანთსაცმელი,
2) დრაპი და პლიუში ქალთა ზედატანისთვის,
3) შალი და სხვა და სხვა საქონელი ტანისამოსისათვის,
4) ტილო და სუფრა-სალფეტკი,
5) ბამბაზია და ბამბის ქსოვილი.

| | | |
|---|---|---|
| დრაპი | პლიუში | ცხვირსახოცი |
| სუფრები | ტრიკო | ხავერდი |
| პლედები | ფარდაგები | მაუდი |
| აბრეშუმი | საბნები | საფენები. |

შევაჭრება არ შეიძლება. (6—6)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—23)

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—5.—13)

## ილია ჭავჭავაძის
**სიკვდილი და დასაფლავება. მრავალი მხატვრობით დასურათებული კრებული. გამოცემა „ამხ. კალმისა“, რედაქცია „მიწისა“**



დარიგდება გასასყიდათ 8 ოქტომბერს

## სკოლა
დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.
ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121 ეზოში. (12—339—3)

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის ნებართვით ამ წლის 20 ოქტომბრიდან **ქუთაისში** გაიხსნება
## სადვთის მეტყველო კურსები
დაწვრილებით პირობების შესატყობად მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მღვდელის ალექსანდრე გერსამიას, არქიელის გორა, საკუთარ სახლში. (3—კვ.—1)

**შაბათს, 6 ოქტომბერს**, ტფილისში გამოვა ახალი ყოველკვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი
## ეკალი
ჟურნალში მოთავსებული იქნება სურათები და მოკლე ბიოგრაფიები გამოჩენილ მწერალთა, მოღვაწეთა და თავისუფლებისათვის თავდადებულთა. ლექსები და პოემები სახუმარო და სერიოზული. მოთხრობები და სურათები ახლო წარსულიდან და სხვ...
ხელის მოწერა და აგრეთვე დასაბეჭდი მასალა მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ редакція „Экали“, Платону Гедевановичу Гачечиладзе.
**თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.**
ჟურნალი დაიბეჭდება სორაპნის სტამბაში.

## ვკისრულობ
ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მომაგონდება ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების უფერულობა, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა და სწავლა დამთავრებული ყმაწვილ კაცობა; მომაგონდება ხოლმე გიმნაზია, უნივერსიტეტი და მერე ის დაუკმაყოფილებული გრძნობა, რომელიც მებადებოდა ყოველთვის, როდესაც კი ვეძებდი ჩვენში ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დღეს გარეშე მდგომი შევყურებ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აი რასა ვხედავ: ჩარხი ჩვენის ცხოვრებისა მოუმართავს ვიღასაც თავის სურვილზე და გვატრიალებს ტიკინებისავით. ბავშვი მაგიდასთან ანთხევს ტვინს რუსულ „დიქტანტს“, „ოტჩე ნაშს“, ავსტრალიას, აფრიკას, აზიას და სხვა ამისთანებს; ათავებს ყმაწვილი გიმნაზიას და იმის თავში დომხალივით ირევა ლათინური, ბერძნული და სლოვიანური სიტყვები; მის აზროვნობასაც გზა აქვს არეული: ვეღარც ქართულად და ვეღარც რუსულად ვერ ახერხებს ლაპარაკს; ტვინის დაჭკნობის ატესტატს ღებულობს. განათლებული ახალგაზდა მისწრაფის უნივერსიტეტში, საცა მას სრულიათ თავ-გზა ებნევა და სამუდამოდ ეჩლუნგება ტვინი სხვა და სხვა ლექციების ზერელად და ნაძალადევად დახსომებით. მერე ყმაწვილი კაცი უბრუნდება სამშობლოს, რომელსაც იგი გულწრფელად უარჰყოფს, და ეძლევა სამუდამო სიზმარს, რომელსაც მხოლოთ ჩარხის ტრიალი ასხვაფერებს.

დამახინჯებული ბავშვობიდანვე სიკვდილამდის მახინჯად რჩება. აქ ბუნებრივ განვითარებისთვის დაგებულია მახე, და ვის შეუძლიან ასცდეს თავის ბედს!

ამნაირად დაბნელებული საზოგადოება აწოწიალებს უმიზნოდ თავის სიცოცხლეს. ყოველთვის ასე ემართება იმას, ვინც სხვისი მონა ხდება და თავის საკუთარ სიცოცხლეს სპობს. თუ ქართველი ხალხი არ შეუდგა დაუყოვნებლივ საკუთარ გონებრივ მიმართულების შექმნას, სხვის მონობაში ამოუვა სული, და იმის სულის მომხსენებელიც აღარავინ დარჩება. საკუთარ გონებრივ მიმართულების შექმნა უნდა დაისახოს მოვალეობად ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, რათა საერთო ძალით გადვიგდოთ კისრიდან დამონავებულ ერის მჩაგრავი და მტანჯავი უღელი.

რამ უნდა შექმნას ეს საკუთარი ეროვნული გონებრივი მიმართულება? ეროვნულმა ოჯახმა, ეროვნულმა სასწავლებელმა, ეროვნულმა დაწესებულებებმა, ეროვნულმა ხელოვნებამ. ყველა ამას კი ესაჭიროება კარგად მომზადებული და გამოცდილი ოსტატები. მერე გვყავან ასეთი ოსტატები?—სამწუხაროდ, ამ უკანასკნელი წლების ეგზამენებმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ნათლად დაგვიმტკიცა, რამდენად მოუმზადებელნი და გამოუცდელნი არიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კაცებიც კი.

ვინც ჰგრძნობს და ვისაც ესმის, რომ ხალხის კეთილ დღეობისთვის აუცილებლად საჭიროა გამოსვლა და მოქმედება საკუთარ გონებრივ მიმართულების შესაქმნელად, იგი ეხლავე უნდა შეუდგეს თავის თავის მომზადებას.

ყველაზე უწინ კი უნდა შევისწავლოთ აწმყო და წარსული ჩვენის ცხოვრებისა და ჩვენის ქვეყნისა. უნდა შევისწავლოთ ნაწერებიდან, საკუთარის დაკვირვებით, გამოკვლევებით და ერთი ერთმანეთის აზრის გაზიარებით და დაახლოვებით. ამისთვის აუცილებლად საჭიროა შესაფერი ეროვნული დაწესებულებანი: მეცნიერული საზოგადოებები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, მუზეუმები და სხვები.

დიდის ყურადღების ღირსია ჩვენთვის ის გარემოება, რომ რუსები საქართველოში ფეხის შემოდგმისათანავე შეუდგნენ ჩვენის ქვეყნის შესწავლას, რასაკვირველია, თავიანთ საკეთილდღეოდ და დასაწინაურებლად. დაარსეს გეოგრაფიული საზოგადოება, ექიმთა საზოგადოება, სასტატისტიკო კომიტეტი, სამთო მმართველობა, საარქეოლოგიო საზოგადოება, მუზეუმი, სააბრეშუმო სადგური, გააშენეს საბოტანიკო ბაღი და სხვა და სხვა, რაც ჩვენის საზოგადოებისთვის უცნობი ხილია. ჩვენდა სამარცხვინოდ, იძულებულნი ვართ, დღეს მხოლოდ რუსულის წყაროებიდან შევისწავლოთ ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის ავლა-დიდება.

სანუგეშოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს თითქოს ჩვენ მოწინავე საზოგადოებასაც ემჩნევა სასურველი მოძრაობა. უფრო და უფრო ხმა მაღლა ქადაგებენ სხვა და სხვა დაწესებულებათა აუცილებელ საჭიროებაზე. მათ შეოხებით არსებობს დღეს ბიბლიოთეკა-მუზეუმი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, საეკლესიო მუზეუმი, დაარსდა საისტორიო და საარქეოლოგიო მეცნიერული საზოგადოება, ფილარმონიული საზოგადოება, რომელსაც აზრად დაუსახავს ქართულ სიმღერების შეგროვება, შესწავლა და შემუშავება, განზრახულია ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების შედგენა, მუზეუმის აგება, ბიბლიოთეკა და სამკითხველოც მიღებულია მხედველობაში. თუ ყოველ ამ დაწყებას მოტრფიალე საქმეოდ გაუჩნდა და თუ კეთილ მისწრაფებას საქმედ აქცევენ, მაშინ გაუხსნიან გზას ხალხში ღრმად ჩამარხულ ძალებს, რომელნიც დამონავებულ ცხოვრებას შესცვლიან თავისუფალ ცხოვრებად; მაშინ ჩაებმება ამ ახალ ცხოვრებაში ყველა, ვისაც თავისუფალ სიცოცხლის უნარი შერჩენია; მაშინ შეგნებულ საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობა წალეკავს ერის უნაყოფო და მავნე დეგენერატებს, და ჩვენი ცხოვრების ჩარხი სასურველად დატრიალდება.

ვისაც კარგის მომავალის მოსვლა სწყურიან და ვინც იმის მოსვლას ჰგრძნობს, უნდა ეხლავე თადარიგს შეუდგეს, რათა შეკრებულის ძალ-ღონით მოუმზადონ ფართო და ღრმა ნიადაგი ჩვენის ცხოვრების გადმოხეთქილ საჭიროებებს. ეს გარემოება მავალებს მეც შევუერთო ჩემი ხმა იმათ ძახილს, რომელნიც დარაჯად უდგანან ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მინდა ეროვნულ ბიბლიოთეკას მივაქციო დღეს ჩვენის საზოგადოების ყურადღება.

სად უნდა შევისწავლოთ დღეს ჩვენი ხალხის ცხოვრება და ჩვენი ქვეყანა? სად უნდა იკლავდეს წყურვილს სამშობლოს ცოდნის მოყვარე ახალგაზრდობა და ყმაწვილ-კაცობა? სად უნდა იკრიბებოდნენ საბაასოთ და საკამათოდ ჩვენი ქვეყნის მცოდნე პირნი?

რამ უნდა დაგვანახვოს თვალ-ნათლად ჩვენი ხალხის და ქვეყნის მდგომარეობა?

დღემდის ქართველობას არ გაუჩენია სწავლა-განათლების ის მთავარი ძარღვი, რომელიც აუცილებელი კუთვნილებაა ყოველ შეგნებულ საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის! დღემდის არა გვაქვს ეროვნული ბიბლიოთეკა და სამკითხველო!

თუ საჭიროა ჩვენის ცხოვრებისთვის სხვა და სხვა დაწესებულება, პირველ რიგში უნდა ჩავიწეროთ ეროვნული ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რომელიც იმ აზრით უნდა დაარსდეს, რა აზრითაც არსებობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და მოსკოვის და პეტერბურგის შესანიშნავი ეროვნული სამკითხველოები. რადგან ამგვარ ბიბლიოთეკის და სამკითხველოს შექმნას დიდი ფული და დრო სჭირდება, ამიტომ ჯერ-ჯერობით უნდა შევაგროვოთ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ნაბეჭდი და ნაწერი, რა ენაზედაც უნდა იყოს, საქართველოს და დანარჩენ კავკასიის შესახებ. ამით უნდა

ჩაიყაროს საძირკველი ერის შეგნებულ თვითგანვითარებისთვის. თუ გამომცემლები და ავტორები ამ საქმეს თითო ცალ წიგნს მიაწვდიან უსასყიდლოდ, თუ ამას იქით დაევალათ ქართველ გამომცემელთ და ავტორებს ამ ბიბლიოთეკას უგზავნონ ხოლმე თითო წიგნი, შევიძლებთ თან და თანობით და ცოტ-ცოტაობით, თითქმის უფასოდ, მოვუყაროთ თავი და ვაგროვოთ ის ლიტერატურა, რომელიც დაუფასებელ განძად გახდება ჩვენის ცხოვრებისთვის და რომელიც შემდეგში შეიძლება ვეღარც კი შევიძინოთ, რა ქონების პატრონნიც უნდა გავხდეთ. ამ ბიბლიოთეკას ზედ უნდა მიედგას შესაფერი, რიგიანად მოწყობილი სამკითხველო, რომლის კარებები ღია უნდა იყოს ყველა ცოდნის მოყვარისთვის.

ასეთი ბიბლიოთეკა და სამკითხველო ცოდნის სურვილს აღუძრავს იმასაც, ვინც დღეს მას მოკლებულია ან უგუნურობით გაურბის, ჩაახედებს ცხოვრების სინამდვილეში, აუხილავს დახუჭულ თვალებს, შეაგნებინებს თავის მდგომარეობას, გააცნობს ეროვნულ სულიერ მსვლელობას და შეაყვარებს თავის დაჩაგრულ და დატანჯულ ერს.

რაკი ბიბლიოთეკა და სამკითხველო გვექნება, გაჩნდებიან მსურველნიც, რომელნიც გულს დაუდებენ და მუყაითად შეისწავლიან ჩვენის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, ჩვენის ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეს. მაშინ თავიდან ავიცილებთ იმ უგხო-უკვლობას, რომელიც ჩვენ ხალხს არა ერთხელ დამართნია, როდესაც კი საჭირონი ყოფილან რომელსამე საკითხში დახელოვნებულნი პირნი.

რადგან დაუვიწყარ ილიას ცხოვრების მიზანი სამშობლოს სიყვარული იყო, ვისურვებ, რომ ეს საჭირო საქმეც „ილიას აუხიდან“ წარმოშობილიყოს.

მოსკოვი. **ალ. ჯაჯანიშვილი.**

## ავსტრიის სოციალ-დემოკრატია

საყოველთაო საარჩევნო უფლება დღეს კანონია ავსტრიაში. დღევანდელი პარლამენტი ამ კანონის ძალით არის არჩეული და შეკრებილი და ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ავსტრიელ სოციალისტებს დიდ-ძალი წარმომადგენლები ჰყავთ ამ პარლამენტში. ეგრეც უნდა ყოფილიყო: დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით ავსტრიელ სოციალისტებს ახალ საარჩევნო კანონის განხორციელებაში; უმთავრესად მათი დამსახურებაა, რომ დღეს მტკიცე საფუძველი აქვს დემოკრატიას ავსტრიის წეს-წყობილებაში.

სოციალისტების ფრაქცია ავსტრიის განახლებულ პარლამენტში დიდი და გავლენიანია და მით უფრო საინტერესოა, ვიცოდეთ, რა პრაქტიკული მიზანი დაუსახავს პარტიას განსახორციელებლად. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ავსტრიის ს.-დემოკრატიის ბელადის წერილი, სადაც აღნუსხულია ის მთავარი საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს პარტიულმა კონგრესმა.

„ჩვენ, ავსტრიელ სოც.-დემოკრატებსო, სწერს ადლერი, განსხვავებული პოლიტიკური და ტაქტიკური პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი და ჩვენვე თვითონ უნდა გადავსწყვიტოთ, რადგან სხვა ქვეყნების პროლეტარების ბრძოლა საწუხაროდ, ვერ დაგვეხმარება ამ ძნელსა და მნიშვნელოვან საკითხების განხილვაში; **მკაცრი აუცილებლობა გვაიძულებს ჩვენ საკუთარი გზა გამოვნახოთ**“.

პირველი საკითხი, რომელიც თავის ასახსნელად თხოულობს საკუთარ გზის გამონახვას, ეროვნული საკითხია.

„ჩვენთვის უძნელესი საქმეა ურთიერთი დამოკიდებულება სხვა და სხვა ერის პროლეტარიატებისა და აქედან გამომდინარე აუცილებლობა საორგანიზაციო ხასიათისა. მარტო ზოგად ხასიათის სურვილებით აქ ვერას გავხდებით, აუცილებელია გულდასმით შევუფარდოთ და შევუხამოთ ჩვენი მოქმედება დროის მოთხოვნას. გამოცხადება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობისა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ამ სოლიდარობის განხორციელება სახელმწიფოს საზღვრებში.

აი, ამ სოლიდარობის განხორციელება ის უახლოესი საქმე, რომელიც უნდა გააკეთოს ავსტრიის ს.-დემოკრატიამ. ამას გვიკარნახებს სახელმწიფო აუცილებლობა, რომლის დაკმაყოფილება არ შეუძლიათ გაბატონებულ კლასებს... **ს.-დემოკრატია მოწოდებულია შექმნას ისეთი სახელმწიფო უფლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს ავსტრიის ხალხების ჭეშმარიტ ეროვნულ თავისუფლებას, კულტურულ თვითგამორკვევის უფლებას, ავტონომიურ მართველობას და სხვას**“.

სხვა ქვეყნების პროლეტარიატის ტრადიცია ვერ დაგვეხმარება და ვერ აგვიხსნის იმ განსხვავებულ პრობლემას, რომელიც ავსტრიის განსხვავებულმა ცხოვრებამ წამოგვიყენაო, ამბობს ავსტრიის სოციალ-დემოკრატია. ამიტომაც ჩვენ იძულებული ვართ საკუთარი გზა გამოვნახოთო. ქართველი ს.-დემოკრატები სულ უკუღმა იქცევიან: მართალია, ადგილობრივ განსხვავებულ ცხოვრებაზე ხანდახან ამოიღებენ ხოლმე ხმას, მაგრამ საკუთარ გზის გამონახვაზე თავს არ იმტვრევენ, თავის აუტკიებლად ხელს აწერენ რუსეთის ს.-დემოკრატიის პროგრამას და ამ გვარად გვერდს უქცევენ ადგილობრივ განსხვავებულ სინამდვილეს.

მარტო ზოგად ხასიათის სურვილებით ვერას გავხდებით ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტის საქმეშიო, ამბობს ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სახელმწიფო უფლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს ხალხების ეროვნულ თავისუფლებას, კულტურულ თვით-გამორკვევის უფლებას და ავტონომიურ მართველობასო. ჩვენი ს.-დემოკრატები კი სწორედ ამ ზოგად სურვილებითა და ფორმულებით კმაყოფილდებიან, და ჰგონიათ, რომ რაკი პროგრამაში ნათქვამია „თვით-გამორკვევის უფლება“ და „ოლქობრივი თვითმართველობა“, ეროვნულ საკითხს შესაფერ პასუხს აძლევენ.

ასე დაბრმავებული აქვთ გონება ჩვენებურ ს.-დემოკრატებს.

## არჩევნები

**დეპუტატთა არჩევის დღეები.** როგორც დეპეშა გადმოგვცემს, უკვე დანიშნიათ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევის დღეები:

14 ოქტომბრისთვის დანიშნულია არჩევნები დეპუტატებისა შემდეგ გუბერნიებში: ასტრახანის, ბესარაბიის, ვიტებსკის, ვოლინის, ვიატკის, გროდნოს, ეკატერინოსლავის, ყაზანის, კალუგის, კიევის, კოსტრომის, კურლიანდიის, ლიფლიანდიის, მინსკის, მოგილიოვის, მოსკოვის, ნოვგოროდის, ოლონეცის, ორენბურგის, ორლოვსკის, პენზის, პერმის, პოლოცკის, პოლტავის, პსკოვის, რიაზანის, სამარის, სარატოვის, სიმბირსკის, სმოლენსკის, სტავროპოლის, ტავრიდის, ტამბოვის, ტვერის, ტულის, უფის, ხერსონის, ჩერნიგოვის, ესტლიანდიის და იაროსლავის გუბერნიებში, აგრეთვე დონის ოლქში და ვილნოსა და კოვნოს რუს-მცხოვრებთაგან.

19 ოქტომბრისთვის დანიშნულია დეპუტატთა არჩევნები: არხანგელსკის, ვილნოს, ვლადიმირის, ვოლოგდის, ვორონეჟის, კოვნოს, კურსკის, ნიჟეგოროდის, პეტერბურგის და ხარკოვის გუბერნიებში.

18 ოქტომბრისთვის პოლონეთის შემდეგ გუბერნიებში: ვარშავის, კალიშის, კელეცის, ლომჟის, ლიუბლინის, პეტროკოვსკის, პლოცკის, რადომის, სუვალკის და სედლეცის გუბერნიებში.

14 ოქტომბრისათვის ქალაქ ხოლმში მოხდა რუსთა წარმომადგენლის არჩევანი.

14 ოქტომბრისათვისვე დეპუტატთა არჩევნები დანიშნულია მთელ კურიაში როგორც რუსის, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა კურიებში.

---

**ოზურგეთი.** 29 სექტემბერს ქ. ოზურგეთში ხელ-მეორედ მოხდა ამომრჩეველთა არჩევნები. ხელ-ახლა არჩეულ იქმნა ვასილ ხუნდაძე (180 ხმით). მეორე კანდიდატმა სერგეი გოლოვერმ მიიღო მხოლოდ 30 ხმა.

---

**არჩევნები რუსთა კურიაში.** გუშინ, 30 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მოხდა რუს ამომრჩეველთა კრება. ტფილისის 30,000 მცხოვრებ რუსობას უნდა თავისი შეხედულება გამოეთქვა არჩევანით თუ როგორ უყურებენ ჩვენ მეზობლად მცხოვრები რუსები 3 ივნისის კანონს და რამდენად ხელსაყრელია მათთვის კერძოდ და მთელი რუსეთისათვის საზოგადოდ განადგურება რუსის ხალხისა, რომელიც 60% თუ შეადგენს მთელის იმპერიის მცხოვრებლებისას და რამდენად თანაუგრძნობენ ისინი სახელმწიფო საბჭოში „რუსკი დუხს“. ტფილისელნი მოუთმენლად მოელოდნენ ამ არჩევნების შედეგს. რუსი ამომრჩევლები ოთხ დასად გაიყვნენ. ბრძოლის მოედანზე გამოვიდნენ: ტფილისის პატრიოტული საზოგადოება, ეგრედ წოდებული „კავშირი რუს ამომრჩევლებისა“, (ოქტომბრისტები), სოციალ-დემოკრატები და პროგრესისტები. თითოეულმა ჯგუფმა თავისი კანდიდატები დაასახელა. 7460 კაციდან, ვისაც ხმის უფლება ჰქონდა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2697 კაცმა. აქედან პატრიოტულ საზოგადოების კანდიდატებმა მიიღეს 985 ხმა. მხოლოდ მღვდელმა გოროდცევმა მიიღო 1100 ხმა; რუს ამომრჩევლების კანდიდატებმა მიიღეს 545 ხმა; სოციალ-დემოკრატებმა 652 ხმა, პროგრესისტებმა 191 ხმა. ამას გარდა თითო ოროლა სხვებიც დაუსახელებიათ, რომელთაც 220-მდე ხმა მიუღიათ. არჩევნებმა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე გასტანა. დილით საარჩევნო უბნებს მიაწყდა მუშა ხალხი, შემდეგ გაჭრები და ნაშუადღევს მოხელეობა. არჩევნებში მსხვილმა მოხელეებმა მიიღეს მონაწილეობა. პოლიცია, რასაკვირველია, ფეხზე იდგა. პატრიოტები მხნედ დარბოდნენ, განსაკუთრებით ტიმოშკინი. საარჩევნო კომისიამ ორჯელ დაადგინა, ტიმოშკინი კომისიიდან გამოიყვანონ და დარბაზიდან გაიძონო, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

## ახალი ამბავი

✦ **სომხების გადმოსახლება.** ოსმალეთში მყოფი რუსეთის კონსულები, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, აუწყებენ თურმე რუსეთის მთავრობას, რომ ოსმალეთიდან კავკასიაში 300,000-მდე სომეხი აპირობს წამოსვლასო. ზოგს უკვე მიუღია პასპორტი, ზოგს კი ჯერ არა. „ზაკავკ.“-ს კიდევ ატყობინებენ ყარსის ოლქიდან, რომ ოსმალეთიდან დიდძალი სომხობა მოვიდაო.

✦ **ადმინისტრატიულად გადმოსახლების აკრძალვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა რუსეთის ყველა გენ.-გუბერნატორებს: აცნობეთ საგენ. გუბერნატოროებიდან გაძევებულთ, რომ მათ ცხოვრება აკრძალული აქვთ ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმშიო.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 6 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე: ა. ყარაშვილისა, დ. იოანესიანისა, ნ. ვასილიევსკისა, ს. მურგინისა, ა. ჩაქულაშვილისა, გ. ფერაძისა, ვ. ჯანუაშვილისა, კაკაბიძისა, ჩხენკელისა, ჟიდკოვისა და ა. თუმანოვისა, რომელთაც ჰბრალდებათ რუსეთის ს.-დ. პარტიასთან სამხედრო ორგანიზაციის მოწყობა. ბრალდებულთ პალატაში დაიცავენ ნაფიცი ვექილები მ. ო. გრუზენბერგი, კ. ჯაფარიძე და სხვანი.

✦ **დაპატიმრება არჩევნებისთვის.** პოლიციამ დააპატიმრა ნეჩაევი, კრონშტეინი, ჰავჰანიძე და ვეჩერია, რომელთაც საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებას და ბიულეტენების გავრცელებას აბრალებენ.

✦ **მკვლელობა.** 29 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის მე-7 ნაწილში, კაბგეროვის ქუჩაზედ, პოლიციის უბნის ზედამხედველი სლეპუშკინი და ორი „გოროდოვოი“ შესულან ბაგრატ კირაკოზოვის სარდაფში. პოლიციის ცნობებით, როდესაც მოხელენი სარდაფიდან გამოდიოდნენ, მათთვის აუტეხიათ სროლა, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაუჭრიათ ზედამხედველი სლეპუშკინი და მესარდაფე კირაკოზოვი. შემთხვევით დაუჭრიათ აგრეთვე ჯარის სასურსათო მაღაზიასთან მდგომი სალდათი მ. კალაშნიკოვი. სლეპუშკინი და კირაკოზოვი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. პოლიციისავე ცნობებით, იმ დროს, როცა კამგეროვის ქუჩაზე სლეპუშკინს ესროლეს, ჟანდარმის ქუჩაზედაც ვილაცეებს აუტეხნიათ სროლა. ამის გამო ყაზარმაში მდგომი ჯარის კაცები გამოსულან და დაუწყიათ სროლა. არავინ დაჭრილა, მაგრამ ორი ნაცემი კაცი ამავე საღამოს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს. სროლამ ყველანი შეაშინა. სლეპუშკინის მკვლელნი მიმალულან.

✦ **ფულის მოტაცება.** 28 სექტემბერს ბაქოში, დილის 11 საათზე, ბალახანის ნავთის მწარმოებელთა საავადმყოფოში მოსამსახურეებს ჯამაგირს ურიგებდნენ. მოულოდნელად, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, შეჭრილა 9 შეიარაღებული კაცი. მორიგ პოლიციელისათვის იარაღი წაურთმევიათ და 8000 მანეთი გაუტაცნიათ.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ორენბურგის გუბერნიაში იგზავნებიან: სამხედრო წესების მოხსნამდე—ტფილისელი მ. აკოფოვი და ორის წლით—ტფ. მაზრის სოფ. პატარძეულელი ლევან ელერდაშვილი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა: ლუკა გოგოლაძეს და ესტატე (იგივე კოტე) სიდამონიძეს.

✦ **ლექცია.** დღეს, 3 ოქტომბერს, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ბ-ნი ო. ს. ბუკშტეინი დაიწყებს ლექციების კითხვას პოლიტიკურ-ეკონომიიდან და ბ-ნი ე. ეხტმანი ისტორიიდან (განახლების ეპოქა). დასაწყისი სად. 7 საათზე.

✦ **ახალი პიესა** გადაითარგმნა და ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება დიმოვის ცნობილი დრამა: „ისმინე ისრაელო“! თარგმანი ეკუთვნის ი. შ—ს.

✦ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და ისყიდება ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა „ადამიანის ცხოვრება“, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. წიგნი შეიცავს 127 გვ. და ღირს 50 კაპ. წმინდა შემოსავალი გადადებულია ქართულ სცენის-მოქმედთ საზოგადოების სასარგებლოდ. წიგნი დაბეჭდილია ძალიან სუფთად, კოხტად და კარგ ქაღალდზე.

✦ **მკვლელობა.** რკინის სადგურზე მოუკლავთ რკინის გზის ნაწილის უფროსი, ინჟინერი ფისენკო.

✦ **სამგლოვიარო წერილები.** ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო ჩვენს რედაქციას კიდევ შემდეგი სამგლოვიარო წერილები მოუვიდა: ვლადივოსტოკელ ქართველებისაგან (დეპეშით), ერმინე ხეთელისაგან ქალაქ პინეგიდან (არხანგ. გუბერ.), ოლონეცკის გუბერნიიდან: ირაკლი გამყრელიძე, სიკო ბადრიძე, შაქრო ჩხუბიანაშვილი, წყალობა და აბრამა პაპიაშვილები.

✦ **გაფიცვა.** ამ დღეებში ტფილისში გაიფიცნენ „ვარშავის სატეხნიკო საზოგადოების“ მუშები. მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილებანი თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ **დადგენილება.** სომხურს ენაზე გადაუთარგმნიათ ნოვოტორჟსკის წიგნი „ნაციონალური საკითხი, ავტონომია და ფედერაცია“. 6000 ცალი წიგნაკისა, საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დაუჭერიათ. პალატამ ეს საქმე კერძო სხდომაზედ განიხილა ბრალმდებლის წინადადებით. ბრალმდებელმა მოითხოვა, გამომცემელთ ხსენებულ წიგნის გავრცელების ნება მიეცეთ, რადგან თუ რუსულ ენაზეა გავრცელებული, რატომ სხვა ენებზე-კი არ შეიძლებაო. პალატამ შეიწყნარა ეს წინადადება და ნება დართო წიგნაკის გავრცელებისა.

✦ **რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-19 ნომერი.** შინაარსი: „ბატკანი და ცისკარი“, ლექსი მიომღვიმელისა; „ბალი და წაბლა“, ცქვიტისა; „ბედნიერებას სიხარბით ვერ შოიპოვებ“, კოლა ასათიანისა; „დაუპატიჟებელი სტუმარი“, თარ. მ. დემურიასი; „გირის თავგადასავალი“, ნ. ფიფიანისა, „ჩია“, თარგმანი ეკლენე ჭაჭანიძისა. გამოცანა, საყურადღებო ციფირები, არითმეტიკული გამოცანები, რებუსი. ახსნა. ჩვეულებრივ სურათებს გარდა, ამ წიგნს თავში ჩართული აქვს მშვენიერი სურათი ილია ჭავჭავაძისა.

✦ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის სტიპენდიები ტფ. ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა ქალთა 1 გიმნაზიაში მოსწავლეებს პეტროვს, ხომასურიძეს, გაბრიჭიძეს, სიმონიანცა და ტერ-გუკასოვს, ხოლო მეორე გიმნაზიაში ეგოროვს, ოსეფიანცს, ოლეშკევიჩს, კუზმინსკის და მაკავარიანს.

✦ 29 სექტემბერს ავჭალის ქუჩაზე ლაზარე იგნატიევს მოჰპარეს ოქროს ნივთები 505 მანეთისა. ამავე დღეს სომხის ბაზარში ორი მძარცველი საღამოს 7 საათზედ თავს დაეცა ტიგრან ბადროვს, წაართვეს 13 მან., ერთხელ ჰაერში რევოლვერი გაისროლეს და მიიმალნენ.

✦ ყაზბეგის ქუჩის მე № 16 სახლში ფულის ანგარიშის დროს ჩხუბი მოუვიდათ 29 სექტემბერს პავლე შევჩენკოსა და ალექსი ივანოვიჩს. ივანოვიჩმა ხანჯალი ჩაჰკრა შევჩენკოს და მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დამჭრელი დააპატიმრეს.

✦ 29 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს ნიკოლოზ მამაცაშვილი, რომელიც სამხედრო ბეგრის მოხდას გაექცა და ყალბ პასპორტით იმალებოდა.

✦ 29 სექტემბერს მეტეხის აღმართზე მიმავალ ბარბარე ჩხეიძეს [illegible] 200 მანეთად ღირებული ძვირფასი ჯვარი ამოაცალეს და მიიმალნენ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ მსჯელობა იქონია, თანახმად ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მოწოდებისა, ილია ჭავჭავაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდის გაძლიერების შესახებ და ერთხმად გადასწყდა, ფონდის გასაძლიერებლად მასწავლებელთა ჯამაგირის ერთი პროცენტი გადაიდოს, რაც წლიურად დაახლოვებით შეადგენს 400 მანეთს. გიმნაზიის გამგეობას აზრადა აქვს ეს ფული ერთად გაუგზავნოს წერა-კითხვის საზოგადოებას, ხოლო მასწავლებლებს თვიურად ურიცხოს ჯამაგირიდან.

✦ იაფ-სასადილოების ხარჯთ-აღრიცხვა მრეწველთა საბჭომ უკვე შეიმუშავა და ცოტა ხანში სასადილოები კვლავ გაიხსნებიან. საქმეს აფერხებს მარტო სადგომების სიძვირე ქიათურასა და ჭიათურში.

✦ სტიპენდიების განმანაწილებელი კომისია შავი ქვის მრეწველთა კრების მიერ დანიშნული შეიკრიბება ლვინობისთვის მეორე ნახევარში.

✦ ერთი თვეა, რაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლაა. არც მოსამზადებელ და არც გიმნაზიურ კლასებში თავისუფალი ადგილი არ იყო და მოსწავლეები უნდა მიეღოთ პირველ მოსამზადებელ კლასში; სასწავლებელში შესვლის სურვილი განაცხადა 316, აქედან მიიღეს 65 მოსწავლე. უადგილოდ დარჩენილ ბავშვების მშობლებმა ითხოვეს პირველ მოსამზადებელ კლასის პარალელის გახსნა თავიანთ ხარჯით, რაც გიმნაზიის მთავრობამ დააკმაყოფილა. სულ მიღებულ იქმნა სასწავლებელში 122 ყმაწვილი. ასე რომ 1 ენკენისთვეს გიმნაზიაში ირიცხებოდა 1175 ყმაწვილი. ამ ჟამად გიმნაზიას შეადგენს: 4 ძირითადი და 4 პარალელი ოთხ მოსამზადებელი კლასისა. გიმნაზიურ ძირითად რვა კლასსის გარდა პარალელები არსებობენ პირველთან, მეორე, მესამე და მეხუთე კლასთან, ასე რომ გიმნაზიას ამ ჟამად შეადგენს 12 გიმნაზიურ და რვა მოსამზადებელი კლასი.

✦ 20 ენკენისთვეს ორი მკვლელობა მოხდა ქუთაისში. ნაშუადღევს 2 საათზე ვორონცოვის ქუჩაზე გავარდა რევოლვერი. ხალხი უცებ მიიფანტ-მოიფანტა. ზოგი მაღაზია დაიკეტა. მალე გაჩნდა პოლიცია და დაჭრილი კაცი საავადმყოფოში წაიყვანა. იგი აღმოჩნდა პრინცესა მიურატის მოურავის ა. ბერიძის მიერ ქუთაისში გამოგზავნილი თოდუა.

ამავე დღეს ღამე სასიკვდილოდ დასჭრეს ნაგორნი საპოლიციო განყოფილების საქმის მწარმოებელი დუჟაძე. მიზეზი მკვლელობისა არავინ იცის.

სატუსაღოდან გაქცეულ პატიმართა შესახებ ათასნაირი ხმა დადის. ზოგი ამბობს, ვითომ პოლიციამ 20 კაცი უკვე შეიპყრო ზესტაფონსა, გოლოგანსა და სხვაგან. ზოგი ამას უარსა ჰყოფს. ჩვენის ცნობით, იმ ხუთი კაცის გარდა, რომელნიც იმ თავითვე შეიპყრეს, არავინ დაუჭერიათ ჯერ-ჯერობით.

მოგვყავს სახელები და გვარები გაქცეულ პატიმრებისა: ნიკო ასათიანი, პიქიკო ასათიანი, ბახვა ტოლორდავა, მაქსიმე ტოლორდავა, აბაკუ გაბისონია, ლავრენტი ზურაბიანი, ფილიმონ შერვაშიძე, ერასტო კუპარაძე, თომა ჩარკვიანი, გედევან კოჩარავა, გიორგი კომეტიანი, ამბაკო ქოიავა, ოშმაგა კობალავა, ამბაკო მიქია, სანდრო წულუკიძე, ტარიელ გვაზავა, აპოლონ ბერიძე, ილია ჯულელი, ალექსანდრე ჩიქოვანი, ლავრენტი ესვანჯია, მოისეი ბანტლერი, თომა ჩუბინიძე, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე სტეფანოვი, ლავრენტი გძელიშვილი, მათე ბანჯელიძე, სერგეი ჯოხაძე, ტრიფონ ჩიგინაძე, პეტრე საყვარელიძე, ვასილ კიკნაძე, პავლე კიკნაძე, აკაბო მერკვილაძე, ისმაილ ქუმბურიძე, ლევან შენგელია, პოლიკარპე გოგიაშვილი, ვლადიმერ ბოჭორიშვილი, ლავრენტი ლომიძე. პატიმართა გაქცევის შემდეგ სატუსაღოში აუ-

ტანელი სიმკაცრე დამყარდა. პატიმართ თურმე უნდათ მიმართონ გუბერნატორს რეჟიმის შესამსუბუქებლად.

✦ ქალაქის არჩევნები სამაზრო საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა.

✦ შავი ქვის მრეწველთა კრება გაგრძელდა სულ ორ დღეს. როგორც მოსალოდნელი იყო, კრებამ თავის გადაწყვეტილება საბჭოს ქიათურაში გადატანის შესახებ უარ-ჰყო. თუმცა მრეწველთა ერთი ნაწილი გაიძახოდა, რომ საბჭო, რაც უნდა დაგვიჯდეს, ქიათურაში უნდა გადავიტანოთო, მაგრამ უმრავლესობამ, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ამ გადატანით საქმეს თავს ანებებდა ისეთი ხელმძღვანელი, როგორც გ. ზდანოვიჩია, ისევ ქუთაისში დატოვება არჩია. ამასთან მრეწველთა კრებამ საჭიროდ სცნო, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ გადაათვალიეროს მომავალ მარტისათვის მოსამსახურეთა შტატი და თავის მოსაზრება წარუდგინოს მორიგ კრებას შტატების შემცირების შესახებ. მრეწველთა კრებამ განიხილა აგრეთვე ფოთის თვითმართველობის შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე მარგანეცზე გადასახადის დაარსების შესახებ ქალაქის სასარგებლოდ. კრებამ შესაძლებლად ვერა სცნო ამ გადასახადის დაწესება, ხოლო გ. ზდანოვიჩის წინადადებით საბჭოს მიენდო აღძრას შუამდგომლობა მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა საბჭოს წინაშე, რომ მან შესაფერი ზომები მიიღოს და ნავთსადგურზე დანიშნული გადასახადი შემოტანილ და გადატანილ საქონელზე თვით ნავთსადგურებს მოხმარდეს და არა სახელმწიფო ხაზინის გამდიდრებას, როგორც ეხლა ხდება. კრებაზე გამოირკვა, რომ ნავთსადგურის გადასახადიდან სამი მეხუთედი ხაზინაში მიდის.

---

## სინდიკალისტების აზრი რუსეთის სოციალ-დემოკრატებზე

(ამოღებულია შემოკლებით რუსულ გაზეთიდან)

საფრანგეთის სინდიკალისტების ჟურნალის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ორი წერილი ეზერსკისა და ფრანგ სევრაკისა. საგანი წერილებისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაა. მცირე წინასიტყვაობის შემდეგ, ამბობს ეზერსკი, შეიკრიბნენ ლონდონში რუსეთის სოციალ-დემოკრატნი. გარემოებამ გაუთქვა სახელი კრებას, თორემ მათ დებატებსა და რეზოლიუციებში აზრის სიბადრუკის მეტი არაფერი არ მოიპოვება. როგორც წამხდარი და დასაღუპავ მომწიფებული მთავრობა უფსკრულისაკენ მიექანება, სწორედ ისევე ემართება რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. მარტოოდენ სამაგელ შინაურ ჩხუბს, დავიდარაბას და აყალ-მაყალს უნდება იგი. მთელ თავის ძალ-ღონეს პარტია ხარჯავს კამათში, თუ რა ხილია დოგმა, მწვალებლობა და ვინ როგორია. ერთი აურ-ზაური ასტეხეს იმის გამო, თუ რა სახელით მოვინათლოთ ლონდონის კრებაო. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ეს კრება მეხუთე კრებაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა, მეორენი-კი ამბობდნენ, არა, მეოთხეაო. ბოლოს კამათი ასე გათავდა, რაა რომ დანომრილი არ იყვესო, ავიღოთ და დავარქვათ ლონდონის კონგრესიო.

ლენინს „ბოლშევიკები" მოსწონს, ესენი ნამდვილი იაკობინელები არიან, ღრმად შეკავშირებულნი პროლეტარიატთანო. ეზერსკის-კი უფრო „მენშევიკები" ეპიტნავება და კეთილად იხსენიებს, რადგან მენშევიკებს სწამთ ავტონომიური მოძრაობა მოდუშავე მასსისა. მაგრამაო, ამბობს ეზერსკი, ამ სურვილმა და მისწრაფებამ ვერ განაახლა მათი აზრი, ვინაიდან „მენშევიკების" სურვილი უტოპიურია, ესე იგი უნიადაგოო.

შინაური ცხოვრება სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა სავსებითაა მოკლებული მუშურ ბრძოლას, მისი პრინციპები ცარიელი აბსტრაქციაა, დიდად დაშორებული მომუშავე კლასს. ეს პარტია ვერას გზით და ვერა ნაირად ვერ შეეთვისება მებრძოლ პროლეტარიატის მოწინავე რაზმს, რადგან ჭეშმარიტი, ცხოველ მყოფელი სოციალიზმი ჩნდება გარეშე ამ პარტიისა, ან იმის სიახლოვეს. ესაა მიზეზი, რომ შინაურობაში ერთმანეთსა სჭამენო. ეზერსკი ირონიასაც არ უკადრისობს და ამბობს, რომ ძირითადი პრინციპები კი არ აერთებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, არა, შინაური განხეთქილება და აურზაურიო.

ლონდონის კრებას დაესწრო 300 დელეგატი, წარმომადგენელი 150.000 წევრისა. ეს ციფრი მოგონილიაო, ამბობს ეზერსკი; ამაზე გაცილებით ნაკლებია რიცხვი იმ წევრთა, რომელთაც ფული შეაქვთ პარტიის კასაშიო. „ბოლშევიკების" ლოზუნგს—რევოლიუცია ეხლა იწყებაო,—რუსეთის პროლეტარიატი არ თანაუგრძნობს და ალმაცერად უცქერის. მუშათა კლასს გავონებითაც არ უნდა გაიგონოს, რომ რევოლიუცია დაუსრულებელი უნდა იყოს, როგორც ჰსურთ მოახვიონ კისერზე მუშებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იაკობინელებმაო. პროლეტარიატმა შეიგნო, რომ სათათბირო უძლურია და ჰსურს საკუთარის გზით იაროს და ფეხზე ჰკიდია ყოველგვარი ბურჟუაზია, თუნდ წვრილი იყოს იგი, თუნდ სხვილი, თუნდ კონსერვატიული, თუნდ რევოლიუციით გაჟღენთილი.

მაგალითისთვის ეზერსკის მოჰყავს რამდენიმე რეზოლიუცია ლონდონის კრებისა, საიდანაც სჩანს, რომ კრებას მექანიკურად მიუწებებია „ბოლშევიკური" და „მენშევიკური" ტეზისები და წერილს ასე ათავებს: „კრების არარაობამ ერთი რამ დაგვანახვა თვალსაჩინოდ: ესაა ძველ სოციალისტურ დასთა აზრის სილატაკე და უძლურება მათი—მიჰხვდნენ და გაიგონ, თუ სადაა ძარღვი ცხოვრებისა და უკურნებელი სისუსტე მათის მოქმედებისა. ნამდვილად კი, როგორც რუსეთში, ისე სხვაგანაც სოციალიზმი სულ სხვაგანაა დაფლული. იგია დამკვიდრებული სინდიკალიზმის ქაბუკ ძალაშიო.

ბ-ნი სევრაკი დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთის რევოლიუციის სულიერ საფუძველს. საქმე თვით გრძნობაა ერისა და არა ის ფორმულები, რომელშიაც გამოიხატა გრძნობაო. ფორმულა წარმავალია, გრძნობა კი რჩებაო. სევრაკს თავის თვალით უნახავს 1905 წ. მოსკოვში რუსეთის რევოლიუცია და დაბეჯითებით ამბობს, რომ მაშინ მოსკოველი შეზარხოშებულ კაცსა ჰგავდა, იმისთანა ნეტარებას ჰგრძნობდა, რომ მისი მზგავსი და ბადალი ჯერ არ გამოეცადა და ამ ნეტარებას სიცოცხლესა ჰსწირავდაო. მუშები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, რაკი ჰგრძნობდნენ, რომ ჩვენი ბედი ეხლა ჩვენ საკუთარ ხელშიაო. ისინი ჰგრძნობდნენ საჭიროებას, აბა რომელი რომელს წინ გაასწრობს და სცდილობდნენ გმირობით გაენათებინათ თავიანთი უკუღმართი და სიძნელით მოცული ყოველდღიური ცხოვრებაო.

ამ გვარი ალღო ერისა იხატება ხოლმე რომელსამე მზა-მზარეულ ფორმულაში. იგი ადვილად თავსდება ნაპოვნ ფორმულაში, ვიდრე საკუთარ ფორმულას არ შეიმუშავებს ერი. საკუთარ ცხოვრების სილატაკით, უბადრუკობით ამრეზილი რუსი წინად დიდ ხანს კმაყოფილდებოდა სახარების ფორმულებით და აარსებდა სარწმუნებრივ მწვალებლობას. სოციალ-დემოკრატიული ფორმულები ისე უბრალონი და მარტივნი არიან თავის შინაარსით და თან ხელმისაწვდომნი, რომ რუსი მათ გვერდს ვერ აუხვევდა. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს ფორმულები მოქადაგეებს უფრო შეეფერება და შეეხამება, ვიდრე თვით ერს. მომეტებულ ნაწილად ახალგაზდა მოქადაგეთ სრულებით არ იციან ცხოვრება, სწავლაც ხომ სულ ცოტა აქვთ მიღებული. გამოვლენ თუ არა გიმნაზიიდან, მიესევიან ორიოდე ყბად აღებულ წიგნაკს და ამ გზით ამთავრებენ სოციალ-დემოკრატიულ აღზრდა-განათლებას. სოციალ-დემოკრატიული ფორმულანი თითქოს განგებ მათთვისაა გამოჭრილი და ჩამოყალიბებული. ერიც ითვისებს ამ ფორმულებს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ცხოვრება გადახეთქავს ხოლმე ფორმულებს და ამას შემდეგ ხალხი კიდევაც ჰკიცხავს აწუნებულ ფორმულას. შეიძლება ვსთქვათ, რომ ხალხმა თავი გაანება აწუნებულ ფორმულებს? გვეკითხება სევრაკი.

ზევრგანაო, ამბობს სევრაკი, ვგონებ თავი მიანებეს ამ ფორმულებს. ზოგან სოციალ-დემოკრატია ასპარეზს უტოვებს მუშათა ორგანიზაციებს, რომელიც წააგავან ფრანგულ სინდიკატებს.

სევრაკის აზრი ფრიად საყურადღებოა რუსის მკითხველისთვის, ამბობს წერილის ავტორი, რადგან, თუმცა მრავალი ფაქტიური და ჰსიხოლოგიური შეცდომა მოუვიდა, მაგრამ სიმართლეც ბევრი ურევიაო.

საყურადღებო კიდევ ისაა, რომ სინდიკალისტები საყვედურით ახრჩობენ რუსის სოციალ-დემოკრატებს. თქვენ თავი წმინდა წყლის პროლეტარიატის კლასიურ დასად მოგაქვთო, მაგრამ ნამდვილად კი ნარევ დემოკრატიულ დასს წარმოადგენთო. დანარჩენ დემოკრატიულ პარტიებს მტრობთ და ასეთის მტრობით ხელს უშლით დამყარდეს რუსეთში ნამდვილი დემოკრატიული წეს-რიგიო.

**არაგინ.**

---

### თეატრი და ხელოვნება

—:—

**სამუსიკო დრამატიული წრე.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეთ დააარსეს სამუსიკო-დრამატიული წრე, რომელსაც აზრადა აქვს ტრამვაის მოსამსახურეთ მიაწოდოს გონებრივი საზრდო. 29 ენკენისთვეს წრემ წარმოდგენა გამართვა „რენესანსის" ტეატრში. წარმოადგინეს ქართულად ვ. გუნიას 5 მოქმედებიანი დრამა „დაძმა", ხოლო რუსულად ვოდევილი „ძვირფასი კოცნა". ხსენებულმა წარმოდგენამ ბევრი ხალხი მოიზიდა. თვით წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ჩაიარა, თუმც ზოგიერთ ნაკლსაც შეამჩნევდით, როგორც, მაგალითად, როლის უცოდინარობა, (ბ-ნი ანანიაშვილი ადამის როლში). კარგები იყვნენ გაიოზ ფდლავას და ოტია ჯოლის როლის ამსრულებელნი ბაღაშვილი და კახელი. არა უშავდავთ დანარჩენებსაც, მხოლოდ მარინეს ამსრულებელი აფხაზიშვილი კოჭლობდა, ვერ იქმნა კარგად შესრულებული მეოთხე მოქმედების სცენა (სატუსაღოში). ბოლოში ფარდა აჩქარებით ჩამოუშვეს, ასე რომ ოტიამ ვეღარ მოასწრო უკანასკნელი მონოლოგი.

დასასრულ, ვუსურვებთ ახალგაზდა წრეს სრულს გამარჯვებას და თავის დანიშნულების პირნათლად ასრულებას.

**თანამგრძნობი.**

---

# რუსეთი

—:—

✦ **ეკონომიური ტერორი.** სოც.-დემოკრ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს განსაკუთრებული ფურცელი ეკონომიურ ტერორის შესახებ და დაჰგმოს იგი.

✦ **600.000 მანეთი პოლიციისთვის.** ამას წინად ვწერდით, რომ ლოძში იქაური მექარხნეები და ფაბრიკანტები თავიანთ ხარჯით აპირებენ პოლიციის გაძლიერებას 1000 კაცით, რისთვისაც საჭირო იქნება წელიწადში 600 ათასი მანეთი. მექარხნეებს ერთმანეთში ეხლავე შეუკრებიათ 320 ათასი მანეთი, დანარჩენი 280 ათასი მანეთი მიაწერეს ვაჭრებსა და სხვა და სხვა დაწესებულებებს.

✦ **განკარგულება ვარშავის გენ.-გუბერნატორისა.** ვარშავის გენ. გუბერნატორს გამოუცხადებია: იმ უბანში, სადაც ამიერიდან ერთ პოლიციელს მაინც მოჰკლავენ, ვაჭრობა შემცირებულ იქნება რამდენიმე საათით დღეში. ამით გენ.-გუბერნატორს სურს ვაჭრებიც შეაწუხოს, ხალხიცა და გამოიწვიოს მათში რეაქცია და მათვე დააკისროს ბრძოლა წინააღმდეგ ტერორისა.

✦ **კანონპროექტი არყის წინააღმდეგ.** ფინლიანდიის სეიმის კომისიამ განიხილა ახალი კანონ-პროექტი, რომელიც მიმართულია წინააღმდეგ არყითა და სპირტით ვაჭრობისა. აკრძალულია არყის შემოტანა ფინლანდიაში, მისი გამოხდა, გაყიდვა და შენახვა. ამ კანონის დამრღვევი, კანონ-პროექტით, სასტიკად ისჯება. მალე გადაეცემა სეიმს, რომელიც უეჭველად მიიღებსმას.

✦ **პოლონეთის ავტონომია და სამხედრო წესები.** ამას წინად რუსეთის პრესაში ხმა გავრცელდა, ვითომ პოლონეთში მალე სამხედრო წესებს მოხსნიანო. ეს ხმა, რასაკვირველია, უარჰყვეს პოლონეთის გენ.-გუბერნატორებმა. რამდენიმე გენ.-გუბერნატორს გადაჭრით უთქვამთ, სანამ პოლონელები ხელს არ აიღებენ პოლონეთის ავტონომიაზე, მანამდის პოლონეთის არც ერთ გუბერნიაში სამხედრო წესები არ უნდა მოიხსნასო. ცხადია მხოლოდ ის, რომ პოლონეთში სამხედრო წესებს კიდევ კარგა ხანს არ მოხსნიან.

✦ **ისევ ებრაელების აკლება.** ამას წინად ადესაში ანარქისტებმა მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის უფროსი დელფინსკი. ჭეშმარიტმა რუსებმა ეს ამბავი ხელზე დაიხვიეს და ერთხელ კიდევ ააწიოკეს ებრაელები. დელფინსკის დასაფლავების შემდეგ ჭეშმარიტი რუსები გაფანტულან ქალაქში და შესდგომიან ებრაელების ხოცვასა და აკლებას. შუადღიდან მოყოლებული მთელ ქალაქში სროლა და ებრაელების წივილ-კივილი ისმოდა. შავ-რაზმელები ქუჩებში ნადირობდნენ ებრაელებზე: დაჰკრიდნენ და იქვე ხოცავდნენ. იმ დღეს სანიტრები ვერ ასწრობდნენ ქუჩებიდან დაჭრილთა აკრეფას. პოლიცია, რასაკვირველია, არსადა სჩანდა. ხულიგანებმა ათი თვის ბავშვიც კი არ დაინდეს და მოჰკლეს. კარგა რომ დაღამდა, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა პოლიცია და ჯარი. ზარალი აუარებელია. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი ჯერ არ იციან.

✦ **ლიდვალის საქმე.** განთქმულ ლიდვალს მთავრობამ ეხლა შეუდგინა ანგარიში და მოსთხოვა 1.600,000 მანეთი. ლიდვალმა, რასაკვირველია, უარი განაცხადა ფულის გადახდაზე. საქმე სასამართლოს გადაეცა.

✦ **სოც.-დემ. ფრაქციის საქმე.** დღემდის ეგონათ, რომ სოც.-დემოკრ. ფრაქციის სახელმწიფო სათათბიროს 55 წევრის საქმეს გაარჩევდა ჩვეულებრივი სასამართლო. მაგრამ 19 ენკენისთვეს გამოცხადდა ხელმწიფის ბრძანება შესახებ იმისა, რომ მათი საქმე უნდა გადაეცეს სენატს, ე. ი. უმაღლეს სასამართლოს.

✦ **ამნისტია არ იქნება.** ერთ ბობოლა ბიუროკრატს უთქვამს: ტყუილი იმედი აქვს საზოგადოებას ამნისტიისა და სამხედრო წესების მოხსნისა. სანამ მთელი რუსეთი სრულიად არ დაწყნარდება, არც ამნისტია გამოცხადდება და არც სამხედრო წესებს მოხსნიანო. ყველამ ვიცით, რასა ჰქვიან ბიუროკრატების აზრით სრული დაწყნარება.

✦ **კატორგაში ადგილი აღარ არის.** ნერჩინსკის კატორგის უფროსს შეუტყობინებია შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, რომ კატორგაში ადგილი აღარ არისო. მთავრობამ ან ახალი კატორგა უნდა დააარსოს, ან მოსპოს დამნაშავეთა გზავნა კატორგაში. რასაკვირველია, ახალ კატორგას დააარსებენ.

✦ **კონტრიბუციის გადახდა.** უკანასკნელ ორ თვეში რუსეთის მთავრობას იაპონიისთვის გადაუცია 48 მილიონი მანეთი „რუს ტყვეების შენახვისთვის".

---

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

რ უ ს ე თ შ ი.

30 სექტემბერი.

**ეკატერინოსლავი.** ალექსანდროვსკის მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ 3257 დესეტინა სახელმწიფო მიწა გაანაწილა.

**ჩერნიგოვი.** ნეჟინის მაზრაში, ხუტორ ბობრიკის მახლობლად, ტყეში სტრაჟნიკები გამოუდგნენ ავაზაკებს და ორი კაცი მოჰკლეს.

**კიევი.** ვასილკოვში კიევის პოლკის ერთ ესკადრონის სამზარეულოში თოფით მოჰკლეს ვახმისტრი.

**ჩერნიგოვი.** ბორზნის სოფ. ტროიცკში თავისს სახლში მოჰკლეს და გაძარცვეს კაზაკი.

**უფა.** 29 სექტემბერს ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ყუმბარების ფაბრიკა. იპოვნეს 4 გაკეთებული ყუმბარა, 2 ჰექტოგრაფის მანქანა, ბიკფორდის ზონარი და სხვა საჭირო ნივთები. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**პავლოგრადი.** ბოგდანოვის სასოფლო სასამართლოს გაძარცვის გამო დააპატიმრეს 7 ასის თავი (სოტსკი), რომელთაც სასამართლოს დაცვა ჰქონდათ ჩაბარებული.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია მაჰმადიანთა სკოლების რეფორმის განსახილველად. ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ იმ ოლქების და გუბერნიების სამოსწავლო მზრუნველნი, სადაც მაჰმადიანთა სკოლებია. სხდომები დაიწყება მაშინ, როცა მაჰმადიანთა წარმომადგენელნი გამოცხადდებიან.

**პეტერბურგი.** ნოვოჩერკასკში წასასვლელად ემზადება დამსახურებული პროფესორი ლაგორიო, რომელსაც ვაჭრობის მინისტრისაგან მინდობილი აქვს დონის პოლიტეხნიკუმის გახსნა.

**ტობოლსკი.** კუტაბრისკის ეტაპიდან გაქცეულ კატორღელებში 8 კაცი შეიპყრეს, ერთი მოჰკლეს. ნახეს 6 თოფი.

**ეკატერინოსლავი.** 27 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ქალაქში არც არავინ ავად გამხდარა და არც არავინ მომკვდარა. გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3.

**პენზა.** ქალაქში ერთი კვირა გახდა ავად ხოლერით. ინსარსკის მაზრის სოფ. ... კმოვში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 6.

**უმანი.** პოდოლიის გუბერნიის დაბა ...ხოვკაში ცეცხლმა გაანადგურა 70 სახლი. სახლში დაიღუპა ერთი ქალი.

**ნოვოჩერკასკი.** ვეგუნოვს და მიშაგინს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს 20 წლის კატორგად. იმათ სულინოვსკის ფოსტის კანტორის გაძარცვა ჰბრალდებოდათ.

**ეკატერინოსლავი.** ოლქის სასამართლომ პლოხოტნიკოვს მიუსაჯა 4 წლის კატორგა. პლოხოტნიკოვს ჰბრალდებოდა პოლიციელის მოკვლა.

**სარაპული.** ოთხმა კაცმა განიზრახა ძვირფას ტყავეულის მაღაზიის გაძარცვა. მოჰკლეს დარაჯი. ორი კაცი შეიპყრეს.

**კიევი.** როვნოს მახლობლად დაეცნენ საქონლის მატარებელს. გასტეხეს ერთი ვაგონი და სხვა და სხვა ძვირფასეულობა გაიტაცეს.

26 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 6, 27—30 სექტემბრამდე ავად გახდა 19, გარდაიცვალა 5.

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 6.

**ტომსკი.** ბარნაულში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 7.

**ომსკი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 12, მაზრებში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2.

**კრასნოიარსკი.** ყაზანის მაზრის სოფ. ილანსკაში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**იაროსლავი.** შეიპყრეს 6 კაცი. აბრალებენ 6 სექტემბერს სოფ. ლობკოვოზე თავდასხმას. უნახეს 7 რევოლვერი, სტამბის ტრიფტი, 16 საპასპორტო ბლანკი და ბევრი არა ლეგალური ლიტერატურა.

**ტომსკი.** 28 სექტემბერს ბარნაულში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი; ნოვონიკოლაევსკში 29 სექტემბერს ავად გახდა 15, გარდაიცვალა 6; ტომსკის გადასახლებულთა პუნქტში ავად გახდა 1.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში სენის გაჩენიდან ავად გახდა 435, გარდაიცვალა 204 კაცი.

**კიევი.** სენის გაჩენიდან ხოლერით ავად გახდა 102 კაცი, გარდაიცვალა 14. ჯარში ავად გახდა 11 კაცი.

**კრასნოიარსკი.** აჩინსკში 24—29 სექტემბრამდე ავად გახდა 4 კაცი.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 18 კაცი, გარდაიცვალა 8.

**კრასნოიარსკი.** აჩინსკში მოჰკლეს ჯარის კაცი. მკვლელი შეიპყრეს.

**ჩერნიგოვი.** სოფ. მაკოშინში ავაზაკთა ბრბომ სამის ტყვიით დასჭრა პოლიციელი. სტრაჟნიკები გამოუდგნენ და დაეწივნენ. ასტყდა სროლა. მოჰკლეს სამი ავაზაკი. მძიმედ დასჭრეს ურიადნიკი. დაიწვა ის ხუტორი, სადაც ავაზაკებს დაეწივნენ.

**მოსკოვი.** საიმპერატორო მუზეუმის სადგომში დიდის ამბით აკურთხეს სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორია 1000 კაცისათვის.

**ტაშკენტი.** სემირეჩინსკისა და კაშგარის საზღვარზე დაბა ატბაშში შავი ჭირი გაჩნდა. 20 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე მოკვდა 44 სული. არც ერთი ავადმყოფი არ გადარჩენილა.

**მოგილიოვი.** 12 ბოროტ-გამზრახველი დაეცა 4 ეტლით მიმავალ 20 მგზავრს. წაართვეს 1800 მანეთი და ბევრი ძვირფასეულობა.

**ონორი (სახალინი).** გათავდა მუშაობა სახალინის განსაზღვრისა. გეგმა და დოკუმენტების გაცვლა-გამოცვლა მოხდება მომავალ წლის მარტში ქ. ვლადივოსტოკში, სადაც უკანასკნელი სხდომა ექნება რუსეთ-იაპონიის მიერ დანიშნულ კომისიას.

**აცკარსკი.** დააპატიმრეს 22 გლეხი სოფ. მედვედევკასა და კოპენსკში. იმათ აბრალებენ კოზლოვო-სარატოვის გზაზე მატარებელზე შეიარაღებულ თავ-დასხმაში მონაწილეობის მიღებას.

**მოსკოვი.** სამხედრო სასამართლომ 5 კაცს მიუსაჯა დაპატიმრება სხვა და სხვა ვადით, 2-დან 10 წლამდე. მათ აბრალებენ რიაზანის გზაზე მატარებელზე თავდასხმის განზრახვას. ერთი ბრალდებული გაამართლეს.

**კრასნოიარსკი.** ბერმიაკოვოსთან სახალხო მატარებელის გაძარცვა მოინდომეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

**ჩერნიგოვი.** სოფ. პეტროვკაში დაეცნენ საარყე დუქანს. მოჰკლეს ერთი დედაკაცი.

**პეტერბურგი.** სადოვოი ქუჩაზე გაქურდეს იუველირის მაღაზია, წაიღეს 40,000 მანეთის საქონელი, მძარცველებს მახლობელ მზალერის მაღაზიის კედელი გაუხვრეტიათ და იქიდან შეპარულან.

**სამარა.** ნიკოლაევის მაზრის ხუტორს უსტიანოვკაში შავი ჭირით ავად გახდა ერთი ბაშკირი და ერთი მწყემსი, რომელიც ბაშკირის ხუტორიდან ერთი ვერსის მანძილზე ცხოვრობდა.

**ხარკოვი.** სამხრეთ გზის სადგურ კუპლიევახში ორი საბარგო მატარებელი ერთ-

მანეთს დაეჯახა. დაიმტვრა 5 და დაზიანდა 6 ვაგონი. მძიმედ დაშავდა 2 მაშინისტი და ობერ-კონდუქტორი. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულია.

**მოსკოვი.** 1 ოქტომბერს სერგიევის პოსადში გამარცვეს ფოსტის განყოფილება. მოიტაცეს 8000 მანეთი. ფული იპოვნეს. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

**კალუგა.** ღამე საპატიმროდან გაიპარა 5 კაცი.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა 19, გარდაიცვალა 1. მაზრებიდან ცნობა არ მოსულა.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1. მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 6 კაცი.

**ტომაშოვი.** სამ დიდ ფაბრიკაში ოცდაათი კვირის გავის შემდეგ მუშაობა განაახლეს.

**ტომსკი.** ბარნაულში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი, გარდაიცვალა 1. ნოვონიკოლაევკაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 7. ავად ხდებიან ზვენიგოროდსკის მაზრაში, უსტყურავლიხის ნავთსადგურში და ბიისკის მაზრაში.

**მოსკოვი.** საეპარქიო სახლის ეკკლესიაში გრინგმუნტის პატივისმცემელთა ერთი მეათედიც ვერ დაეტია. უბილეთოებს მახლობელ ვიწრო ქუჩაშიაც არ უშვებდნენ. იყვნენ მთავრობის წარმომადგენელნი, დაესწრო ლიცეი, სამგლოვიარო ცერემონიას 7 ეტლი მისდევდა გვირგვინებით სავსე, ბევრი პატრიოტული ორგანიზაცია დაესწრო თავიანთ ბაირაღებით. დამსწრეთაგან ბევრს პატრიოტული ნიშნები ჰქონდა გულზე გაკეთებული.

**ტაშკენტი.** ცხენოსანთა რაზმის ყაზარმაში მძიმედ დასჭრეს ერთი ფელთფებელი.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა ოპერაში მომღერალი ტენორი დოლინინი.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.**

30 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** შიდა რუსეთის 19 გუბერნიაში, ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიებში, ქალაქ ლოძსა და ვარშავაში 28 სექტემბრამდე მუშებს აურჩევიათ 73 ამომრჩეველი: 40 სოც.-დემოკრატი, 1 კადეტი, 5 ს.-რევოლიუციონერი, 7 ნაროდოვეცი, 1 თავისს თავის მემარჯვენედ მაღიარებელი, 1 ზომიერი, 1 უკიდურესი მემარცხენე, 12 მემარცხენ, 1 პროგრესისტი, 1 უპარტიო, 1 ზომიერი.

შიდა რუსეთისავე 35 გუბერნიასა და პოლონეთის 6 გუბერნიაში მსხვილმა მემამულეებმა აირჩიეს 2155 ამომრჩეველი: 22 რუსთა კავშირის წევრი, 44 ბესარაბიის ცენტრალურ პარტიის წევრი, 309 ოქტომბრისტი, 6 მშვიდობიან განახლების პაარტიის წევრი, 6 კადეტთა თანამოაზრე, 60 კადეტი, 1 სოც.-დემოკრატი, 53 ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარქიულ პარტიისა, 8 უგოდოვეცი, 4 რეალისტი, 136 ნაროდოვეცი, 26 ნაციონალისტ-ავტონომისტი, 2 პოლონეთის კოლო, 3 მემარცხენე ბარტიის წევრი, 2 კონსტიტუციონალისტი, 781 მემარჯვენე, 61 ზომიერი, 1 უკიდურესი მემარცხენე, 26 მემარცხენე, 30 პროგრესისტი, 182 უპარტიო, 63 უცნობი.

პეტერბურგის მაზრის შემამულეებმა აირჩიეს 5 ამომრჩეველი ოქტომბრისტი. ამნაირად პეტერბურგის გუბერნიის 70 ამომრჩეველში ოქტომბრისტებს უკვე აქვთ 36 ხმა. ევროპის რუსეთის 32 გუბერნიაში, პოლონეთის 6 გუბერნიებში, ციმბირის 2 ოლქში, კავკასიის 4 საარჩევნო ოლქში 29 სექტემბრამდე გლეხებს აურჩევიათ 1029 ამომრჩეველი: 6 რუსთა კავშირის წევრი, 4 ბესარაბიის ცენტრალურ პარტიის წევრი, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 8 ოქტომბრისტი, 2 მშვიდობიან განახლების პარტიის წევრი, 9 კადეტების თანამოაზრე, 35 კადეტი, 2 სახალხო სოციალისტი, 8 შრომის ჯგუფის წევრი, 10 სოც.-დემოკრატი, 8 ს.-რევოლიუციონერი, 3 ესტონთა ნაციონალურ პროგრესიულ პარტიის წევრი, 1 ლატიში კონსტიტუციონალისტი, 33 ლატიში რეფორმატორი, 5 ლატიში ნაციონალისტი, 77 თავისს თავის ძონარქისტად მაღიარებელი, 264 მემარჯვენე, 64 ზომიერი, 12 უკიდურესი მემარცხენე, 1 მემარცხენეთა თანამოაზრე 120 მემარცხენე, 28 პროგრესისტი, 267 უპარტიო, 43 უცნობი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის მაზრის მოქალაქეთა პირველმა კურიამ აირჩია 4 ამომრჩეველი. ყველანი კადეტები არიან. მეორე კანდიდატმა ვერ მიიღო საჭირო კენჭი. მეორე ამომრჩეველი ხელ ახლა უნდა აირჩიონ.

პეტერბურგის მაზრის მუშებმა აირჩიეს 6 ამომრჩეველი. ყველანი ს.-დემოკრატები არიან.

ევროპის რუსეთის 40 გუბერნიასა და ტობოლსკის გუბერნიაში 1 ოქტომბრამდე მოქალაქეთ აურჩევიათ 591 ამომრჩეველი: 14 რუსთა კავშირის წევრია, 2 რუსთა განაპირა კავშირის წევრი, 2 ბესარაბიის ცენტრალური პარტიის, 7 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 66 ოქტომბრისტი, 8 მშვიდობიან განახლების წევრი, 27 კადეტების თანამოაზრე, 107 კადეტი, 1 შრომის ჯგუფის წევრი, 8 ს.-დემოკრატი, 2 ს.-რევოლიუციონერი, 1 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 ებრაელთა უფლების გათანასწორების კავშირისა, 1 ნაციონალისტი, 16 ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარქიულ პარტიისა, 25 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 108 მემარჯვენე, 38 ზომიერი, 4 კონსერვატორი, 34 მემარცხენე, 48 პროგრესისტი, 47 უპარტიო, 23 უცნობი.

ევროპის რუსეთის 36 გუბერნიაში, ტობოლის გუბერნიაში, პოლონეთის 6 გუბერნიაში, ციმბირის ორ ოლქში და კავკასიის 5 საარჩევნო ოლქში მოქალაქეთა მეორე კრებას აურჩევია 593 ამომრჩეველი: 3 რუსთა კავშირის წევრი, 2 ბესარაბიის ცენტრალური პარტიისა, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 20 ოქტომბრისტი, 1 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 1 დემოკრატიული რეფორმის პარტიის თანამოაზრე, 10 კადეტების თანამოაზრე, 134 კადეტი, 2 სახალხო სოციალისტი, 5 შრომის ჯგუფი, 11—დემოკრატების თანამოაზრე, 1 ს.-რევოლიუციონერი, 33 ს.-დემოკრატი, 1 ბუნდისტი, 2 სიონისტი, 1 ებრაელთა უფლების გათანასწორების მომხრე, 3 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 დაშნაკცაკანი, 3 ესტონელი პროგრესიული პარტიისა, 5 ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარქიულ პარტიისა, 93 ნაროდოვეცი, 1 ნაროდოვცების თანამოაზრე, 2 ზომიერი კონსტიტუციონალისტი, 1 პოსტეპენეცი, 2 პოლონურ რეალური პოლიტიკის პარტიისა, 3 ნაციონალისტი, 1 თავისს თავის უკიდურეს მემარჯვენედ მაღიარებელი, 9 მონარქისტი, 24 მემარჯვენე, 8 ზომიერი, 1 კონსერვატორი, 5 უკიდურესი მემარცხენე, 62 მემარცხენე, 60 პროგრესისტი, 72 უპარტიო, 1 უცნობი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

30 სექტემბერი.

**ობენა.** მთის მეწყერი ჩამოწვა. გაფუჭებულია 2 ხიდი და გზატკეცილი 200 მეტრის მანძილზე, დაძრულია ნიადაგი ერთ მილიონ კუბიკურ მეტრის ოდენა. 26 საათის განმავლობაში მეწყერა 900 მეტრი გაიარა. მეწყერი ჯერ არ შეჩერებულა. მიზეზად ნიადაგ ქვეშ შექუჩებულ წყალს ასახელებენ.

**ნანსი.** რადიკალთა კონგრესმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სამშობლო და რესპუბლიკა ორივე ერთია; პარტიის ყოველი წევრი მოვალეა არ მისცეს ხმა იმას, ვინც ჯარის დეზორგანიზაციას ხელს უწყობს მშვიდობიან დროს დეზერტირობით, ხოლო ომიანობის დროს საყოველთაო გაფიცვით და შეიარაღებულის აჯანყებით.

**ლეიპციგი.** ლიბკნეხტს, რომელსაც ჰბრალდებოდა სახელმწიფოს ღალატი, გადაუწყვიტეს $1^1/_2$ წლით დაპატიმრება.

**ბუდა-პეშტი,** შინაგან საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ პასუხი გასცა სოციალისტს მეზემისაც და სხვათა შორის, სთქვა: მთავრობამ აღთქმა დასდო, შეიტანოს შესაფერი კანონ-პროექტი საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ. შეუძლებელია რომ მთავრობამ არ შეასრულოს თავის სიტყვაო. საქმის კაჭიანურების მიზეზი სასტატისტიკო მასალის შეკრება იყო.

**რომი.** მილანის გაფიცვა რომში ნიადაგს ვერ პოულობს. შიშობენ, რომ გაფიცვა ბოლონიას, მოდენს და სხვა ჩრდილო ქალაქებს არ მოედოს.

**მილანი.** გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. აღკვეთეს მუშაობა დიდ სამრეწველო დაწესებულებებში. ტრამვაი არ დადის წეს რიგი არ დარღვეულა.

**მილანი.** ცვლილება არა მომხდარა რა. ბირჟა კანონიერად იკრიბება. მაღაზიები ღიაა, ეტლები დადიან. გაზეთები არ გამოსულან. ფაბრიკებს დარაჯები იცავენ. ბოლონიაში 24 საათით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ამით მილანელებს სოლიდარობა გამოუცხადეს. შუადღევს საჯარო კრებას 30,000 კაცი დაესწრო. ცრუ ხმების მიზეზით კრება ჩაიშალა. 10,000 კაცი საკრებულო ტაძრის მოედნისაკენ გაემართა, მაგრამ რამე დიდი ინციდენტი არა მომხდარა-რა, გაიფიცნენ ელექტრონის სადგურის მუშებიც.

**დეტროიტი** (შტატი მიჩიგანი). ზემო ტბაში ჩაიძირა გემი „საიფრესი“. დაიღუპა 22 კაცი.

**რომი.** მილანის გაფიცვამ რომში ფეხი ვერ მოიკიდა, ამას ხსნიან ერთ-ერთ სოციალისტურ პარტიის მეცადინეობით, რომელიც აცხადებს, საერთო გაფიცვებით ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთო.

**ლონდონი.** 29 სექტემბერს ბროლის სასახლიდან აუშვეს ჰაეროსტატი „მამოუტი“. ჰაეროსტატი რუსეთისკენ გაემართა.

**ნანსი** რადიკალთა კონგრესმა დაადგინა განხორციელდეს სასურველად ცნობილი, მაგრამ ჯერ არ განხორციელებული რეფორმები: დაზღვევა მუშებისა, როგორც ქალაქის ისე სოფლებისა, კოლლექტიური ხელ-შეკრულება მუშათა და ადებს შორის ატეხილ დავის დროს.

**მილანი.** ორგანიზაციაში მყოფი მუშები შეიკრიბნენ და მუშათა პალატის წინადადებით გადაწყვიტეს მუშაობას შეუდგნენ 1 ოქტომბერს. საზოგადო დაწესებულებებში მომუშავეთ მუშაობა განაახლეს 30 სექომბერს.

**აკისაბოზა.** გარდაიცვალა ზარარის მმართველი, შვილი რასა-მაკონენისა.

**ჰააგა.** მთავრობამ პალატაში კანონ პროექტი შეიტანა კონსტიტუციის გამოცვლის შესახებ. აზრად აქვთ შემოიღონ საყოველთაო საარჩევნო წესი და ქალებსაც მიანიჭონ აქტიური და პასსიური საარჩევნო უფლება. მთავრობის პროექტი განსხვავდება პალატის პროექტისაგან იმით, რომ უფლებას არ აძლევს ზემო პალატას შეასწოროს ხოლმე ქვემო პალატის დადგენილება.

**ბარცელონა.** სხვა და სხვა მხრიდან და განსაკუთრებით ვალენსსა და ტორტოზოდან იუწყებიან, რომ იქ დიდი წვიმები მოსულა. სოფ. პრატი კუნძულივით წყალ შუაა თურმე მოქცეული.

**ამეილ-ლე-ბენი.** მდინარე ტეტი (?) ნაპირებს გადავიდა. დაიქცა რამდენიმე ხიდი. აშბოზენ 7 კაცი დაიხჩოო.

**ნანსი.** რადიკალთა კონგრესის დახურვის წინ ლიონის მერმა ერრიმ წაიკითხა პარტიის დეკლარაცია, რომელიც ამბობს: ჩვენ მშვიდობიანობის შომხრე ვართ, საკალდებულო სამედიატორო სამართალს პრინციპიალურად საჭიროდ ვსცნობთ, ყველა ერებს პატივს ვსცემთ, მაგრამ ამასთანავე აღსავსენი ვართ მხურვალე პატრიოტულ გრძნობით და სამხედრო მოვალეობის აღსრულება უეჭველ საჭიროებად მიგვაჩნიაო.

**მონტონი.** ასლით-ამწყობებმა და გაზის ქარხნის მუშებმა მუშაობა განაახლეს.

**ბოლონია** 30 სექტემბერს საღამოთი გამოაცხადეს, გაფიცვა გათავდაო.

**შანხაი.** მანჯურიის გენერალ-გუბერნატორის ხსუჩიშანგის მეცადინეობით პეკინის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, სესხი აიღოს მანჯურიაში რეფორმების მოსახდენად. აზრად აქვთ ისესხონ 50—75 მილიონი მანეთი.

**კაზაბლანკა.** მულაი გაფიდის მიერ სეტატიდან გაგზავნილი რაზმი იმყოფება დაახლოვებით 30 კილომეტრის მანძილზე კაზაბლანკიდან. რაზმმა ადგილობრივ მკვიდრთა სარჩო-საბადებელი აიკლო. მკვიდრნი მულაი გაფიდს დაემორჩილნენ.

**ბრუქსელი.** როგორც სოსნოვიციდან იუწყებიან, რენარის მადნებში ქვანახშირი მოწზავებულა და მოუკლავს 7 მუშა.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამავგზრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნადიკვარმა“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—C.—15)

ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—97)

✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წმინდად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესსასა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—68)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.